



ჟან მონეს პროექტის „საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებში
ევროინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში შექმნილი

პოლიტიკის დოკუმენტი

აზერბაიჯანელი, სომეხი და ქისტი ახალგაზრდების მიერ
იდენტიფიცირებული პრობლემების საფუძველზე



წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი შეიქმნა სოციალურ მეცნიერებათა პროექტის „საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებში ევროინტეგრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი, რომელიც განხორციელდა 2019-2021 წლებში ევროკავშირის ერაზმუს+ ჟან მონე აქტივობების თანადაფინანსებით, მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სამ სამიზნე რეგიონში ევროკავშირის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ამისთვის ჩატარდა არაერთი სეზონური სკოლა, ტრენინგი და შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რასაც აქტიური დისკუსიები და საინტერესო ინფორმაციის გაცვლა სდევდა თან. სწორედ ამ დისკუსიების შედეგად შეიქმნა წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ძირითადად ასახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერას. დოკუმენტი სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგება, თითოეული მათგანი კი ერთ სამიზნე რეგიონს - ქვემო ქართლს, სამცხე-ჯავახეთსა და პანკისის ხეობას ეხება.

ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლში, კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის დიდი ნაწილი (უკანასკნელი აღწერის შედეგად - 83,1%) ეთნიკურად აზერბაიჯანელია. რადგან აზერბაიჯანული თემი ქართველებისგან იზოლირებულია, ამიტომ ადგილობრივები სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან. ეს, უმეტესად, მუნიციპალიტეტს გარეთ მოსახლეობასთან კომუნიკაციას ეხება, რაც, რიგ შემთხვევებში, ენის ბარიერისა თუ სხვა პრობლემების გამო რთულდება. ამგვარმა სირთულეებმა თავი განსაკუთრებით პანდემიის დროს იჩინა, როცა მარნეულის მუნიციპალიტეტის ჩაკეტვის გამო, აზერბაიჯანული მოსახლეობის მიმართ ეთნიკური სტერეოტიპების ამსახველი, დისკრიმინაციული გზავნილები ვრცელდებოდა. მათთან წინააღმდეგობის გასაწევად და ადგილობრივების დასახმარებლად, მუნიციპალიტეტში არსებული სათემო ცენტრები აქტიურად მუშაობდნენ. ისინი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაზე ზრუნავდნენ, დეზინფორმაციის გავრცელებას ხელს უშლიდნენ და თანასოფლელებს ამა თუ იმ სოციალური დახმარების მისაღებად არეგისტრირებდნენ.

მუნიციპალიტეტის 7 სათემო ცენტრი სხვადასხვა სოფელში ფუნქციონირებს და ახალგაზრდებისგანაა დაკომპლექტებული. საკუთარი ძალებითა და რესურსებით, ისინი როგორც მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, ისე მათ მშობლებთან მუშაობენ და, პირველ რიგში, ენობრივი ბარიერის პრობლემის გადაჭრას ცდილობენ. სათემო ცენტრებში ფუნქციონირებს ახალგაზრდული საბჭო, სადაც თვეში ერთხელ იკრიბებიან და განიხილავენ, თუ რა ტიპის საგანმანათლებლო კურსების დაგეგმვაა მიზანშეწონილი. ადგილობრივ ახალგაზრდებს მხარს უჭერენ ისეთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა IREX, USAID, EMC, ფონდი TASO, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ და ა.შ. მიუხედავად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობისა, ადგილობრივი ახალგაზრდები აუცილებლად მიიჩნევენ თვითმმართველობის მხრიდან დახმარებას და გამოყოფენ მთელ რიგ პრობლემებს, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან. სირთულეების დასაძლევად, ახალგაზრდებმა სხვადასხვა ტრენინგ-კურსები შეიმუშავეს, ზრდასრულებს ქართული ენის პროგრამა შესთავაზეს, დანერგეს ინგლისური ენის, უნარების, კომპიუტერის, ხატვისა და ცეკვის კურსები, რამაც განათლების ზოგად ღონესთან ერთად, ისეთ სპეციფიკურ საკითხებზეც იქონია გავლენა, როგორც რეგიონში ნაადრევი ქორწინების პრობლემაა.

2019 წლიდან, ახალგაზრდული სათემო ცენტრები გაერთიანდნენ და მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების კვლევის განხორციელება დაიწყო. კვლევის შედეგად, ერთ-ერთ საგულისხმო პრობლემად ადგილობრივი ხელისუფლების არაქმედითუნარიანობაც დასახელდა. გამოიკვეთა ქალთა საკითხების მოგვარების საჭიროებაც, რაც გულისხმობს საბავშვო ბაღების გახსნის აუცილებლობას (მაგ.: კასუმლოსა და მიმდებარე სოფლებში), რათა ქალებმა მუშაობა და თვითრეალიზება შეძლონ. მთლიანობაში, კვლევის შედეგები დასახლების საერთო კრებისთვის და, შემდგომში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან წარსადგენადაა გამიზნული; თუმცა, ახალგაზრდებს თვითმმართველობის ჩართულობის იმედი ნაკლებად აქვთ. ამგვარ მოლოდინს ის წარსული გამოცდილება განაპირობებს, რაც თემის მოსახლეობას აქტივიზმის შედეგად დაუგროვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც რთულად მოიპოვეს. თუმცა, ახალგაზრდების ჩართულობით და ინდივიდუალური კომუნიკაციით, ნდობა იმ დონეზე დამყარდა, რომ, თუ მანამდე პროექტებში მონაწილეობის მისაღებად გოგონებს ვაჟებთან ერთად არ უშვებდნენ, მით უმეტეს, მუნიციპალიტეტს მიღმა, ახლა ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამ ეტაპზე, დღის წესრიგში უფრო მეტად აზერბაიჯანული თემის კულტურული ინტეგრაცია და განათლებასთან დაკავშირებული საკითხები დგას. მარნეულში არსებობს კულტურის ცენტრები, რომლებიც უფუნქციოა, მაშინ, როდესაც ახალგაზრდებს აქტივობების გასამართად სივრცე არ აქვთ. ასეთი კულტურის ცენტრები, ზოგ შემთხვევაში, ჩაიხანის ფუნქციას ასრულებენ, რაც მხოლოდ კაცებისთვისაა განკუთვნილი და ქალები იქ არ დაიშვებიან. ჩაიხანებში ზოგჯერ კრებებიც იმართება და ინფრასტრუქტურული პრობლემების (მაგ.: კრიტიკული წყლის საკითხი) გადაჭრა განიხილება. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს სივრცეში ქალების ადგილი არ არის, ისინი გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი საჭიროებების წარდგენის შესაძლებლობასაც მოკლებულნი არიან. ამის საკომპენსაციოდ, ახალგაზრდებმა „დედათა სკოლა“ შექმნეს (სოფ. ქვემო სარალი) და „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს მხარდაჭერით ქალების გაძლიერებას ცდილობენ.

მიუხედავად არაერთი ბარიერისა, ახალგაზრდებმა არაფორმალურ განათლებაზე წვდომის საკითხი თავად მოაგვარეს და დღევანდელი მდგომარეობით, საჭირო ტრენინგზე დასასწრებად ადმინისტრაციული ცენტრისკენ გადაადგილება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სოფლებში გახსნილ მცირე ზომის სათემო ცენტრებს დახმარება მაინც ესაჭიროებათ. პანდემიის პერიოდში, ახალგაზრდებმა მოსახლეობის საბუთების მოწესრიგება და მათი სხვადასხვა ტიპის დახმარებაზე დარეგისტრირება მოხალისეობრივად დაიწყეს (რამაც მეტი ტექნიკური საშუალებების საჭიროება გამოავლინა); გადაამზადეს მასწავლებლები, რომელთათვისაც კომპიუტერის ცოდნა აუცილებელი იყო; დაიწყეს პანდემიასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა და არსებული მითების გაქარწყლება.

მოსახლეობისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს სოციალური ქსელები წარმოადგენს. ენის ბარიერის გამო, ქართულ სატელევიზიო არხებს არ უყურებენ და თუ ინფორმაციას ტელევიზიის მეშვეობით ეცნობიან, მაშინ არჩევანს თურქულ და აზერბაიჯანულ მაუწყებლობებზე აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მედიას, კერძოდ, „რადიო მარნეულს“ ევროკავშირისა და მის წევრ ქვეყნებში პროდუქციის გატანის შესახებ კვირაში ერთხელ სპეციალური გამოშვებები აქვს, მოსახლეობა ევროკავშირისა და ნატოს საკითხებზე მაინც ნაკლებადაა ინფორმირებული. იმის გამო, რომ რეგიონში თურქეთის და რუსეთის გავლენა აშკარაა, ევროკავშირის შესახებ მითები ხშირად ვრცელდება. ასაკოვანი ხალხისთვის ევროკავშირი, უმეტესად, ტრადიციებისთვის საფრთხის შექმნასთან და გარყვნილებასთან ასოცირდება. გარდა ამისა, დიდი ხნის მანძილზე ეჭვქვეშ იდგა კორონავირუსის არსებობის საკითხიც, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ მიმდინარე სიახლეები და

არსებული რეგულაციები აზერბაიჯანულ ენაზე დროულად არ ითარგმნებოდა. აქ კვლავ ახალგაზრდა აქტივისტები გააქტიურდნენ და მედიატორის ფუნქცია იკისრეს. ამჟამად მსგავსი გამოწვევა ვაქცინაციასთან დაკავშირებით დგას.

ევროპის ქვეყნებში გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. ამ პროგრამებში სოფლებიდან რამდენიმე ახალგაზრდამ მონაწილეობა უკვე მიიღო, თუმცა არჩევანს, უმეტესად, თურქეთზე აჩერებენ. ადრე ახალგაზრდებს გეზი უფრო აზერბაიჯანისკენ ჰქონდათ აღებული, რადგან სწავლისა და ცხოვრების ლოგიკურ გაგრძელებად ბაქოში გამგზავრება ესახებოდათ. თუმცა, მას შემდეგ, რაც სათემო ცენტრების სახით არაფორმალური განათლების კერები შეიქმნა, ხოლო განათლების სისტემაში 4+1 პროგრამა დაინერგა, წარმოდგენები შეიცვალა და საქართველოში თვითრეალიზება ახალგაზრდებისთვის შედარებით რეალისტური გახდა. კურსების ფარგლებში შესწავლილი პროფესიებით თუ ხელობებით ზოგიერთი დასაქმდა კიდევ; ხოლო მათ, ვინც უმაღლესი განათლების მიღება გააგრძელეს, დასაქმების მეტი შანსი გამოუჩნდათ. მართალია, მათთვის უმაღლეს სასწავლებლებში ქართულად სწავლა არაერთ ბარიერთანაა დაკავშირებული, თუმცა, დროის სვლასთან ერთად, ქართულ ენაზე მოცდის ჩაბარების მსურველებიც გაჩნდნენ. ახალგაზრდებმა ირწმუნეს, რომ სოციალური ინტეგრაცია განხორციელებადია და ამას შემდეგი სახის ხელშეწყობა ესაჭიროება:

- ✓ სათემო ცენტრების და ადგილობრივი თვითმმართველობის კოორდინირებული საქმიანობა, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ რწმენა, რომ სახელმწიფო მათი მხარდამჭერია;
- ✓ ახალგაზრდული აქტივიზმის ხელშეწყობა, რაც მათთვის სათანადო სივრცეების გამოყოფასა და რესურსების მობილიზებას გულისხმობს;
- ✓ ქალთა გასაძლიერებლად, სოციალური სერვისების შექმნა (მათ შორის, საბავშვო ბაღების);
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ინფრასტრუქტურული პრობლემების შესახებ კვლევით მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება და დღის წესრიგში დაყენება;
- ✓ ქართული ენის შემსწავლელი კურსების წახალისება (ან უკვე არსებული კურსების შესაბამისი რესურსებით მომარაგება);
- ✓ ახალგაზრდებთან პროფესიის ასარჩევად საორიენტაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების მიღების წახალისება;
- ✓ 4+1 პროგრამის პირობების გადახედვა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგება;
- ✓ ადგილობრივ მედიასთან ინტენსიური თანამშრომლობა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა;
- ✓ ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის უწყვეტად გავრცელება; იმის ხაზგასმა, თუ რა სარგებელს ნახავს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული (თუ სხვა) მოსახლეობა ევროინტეგრაციით;
- ✓ პანდემიის პერიოდში, მოსახლეობის დახმარება ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაში, ან/და მოხალისეობის ხელშეწყობა;
- ✓ არაფორმალური განათლებით რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის დაინტერესება და სოფლებში საგანმანათლებლო სივრცეების შექმნა;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი (მათ შორის, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული) პროგრამებისა და კამპანიების დაწერვა, ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეული ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით არის დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები სომხური თემი სპეციფიკური გამოწვევების წინაშე დგას, ახალციხელი, ახალქალაქელი და ნინოწმინდელი მოსახლეობა საერთო პრობლემებსაც აწყდება.

ადგილობრივ დონეზე ინტეგრაციის მიზნით, სამცხე-ჯავახეთში არაერთი ორგანიზაცია თუ პროგრამა ფუნქციონირებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ახალგაზრული პროგრამების განხორციელების კუთხით, აქტიურია „დემოკრატი მესხთა კავშირი“, „PITA“, „ტოლერანტი“, „World Vision Georgia“, „ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი“, „Umbrella“, „International Foundation for Electoral Systems“ და ა.შ. თითოეული მათგანი როგორც ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდების (ასევე, უფროსი თაობის) სოციალურ ინტეგრაციას, ისე ევროკავშირისა და ნატოს შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდასაც ემსახურება. მათი ხელშეწყობით შეიქმნა არაერთი სათემო ცენტრი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი დონის ძიებებისა და ტრენინგ-კურსების განხორციელება. ორგანიზაციებისა და პროექტების მრავალფეროვნების კუთხით, ახალციხე მეტად დატვირთულია, რასაც ვერ ვიტყვით ახალქალაქსა და ნინოწმინდაზე, სადაც, შეიძლება ითქვას, ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციული ვაკუუმი. ახალქალაქში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსების პოტენციალი, რომლის მიზნადაც ახალგაზრდებისა და უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის განახლებადი ინფორმაციისა და ცოდნის არაფორმალური მიწოდება შეიძლება დაისახოს. ამ მხრივ, ახალგაზრდების მზაობას ადგილობრივ დონეზე ხელშეწყობა სჭირდება. უნდა ითქვას, რომ სწორედ განათლების ხარისხია ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომელზეც ახალგაზრდების დისკუსიები მიმდინარეობს.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდებისთვის პრობლემურია, რომ 4+1 პროგრამის სტუდენტები სხვა დანარჩენი სტუდენტებისგან სეგრეგირებულები არიან, რაც მათ სოციალურ ინტეგრაციას ხელს უშლის. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პროგრამის არსებობა ახალგაზრდებისთვის უმაღლესი განათლების მიღების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლების ეტაპი შეფასებულია, როგორც უხარისხო. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ სწავლების ამ ეტაპზე გამოყენებული არ არის სხვადასხვა ინტერაქციული ტექნიკები, ჯგუფური დავალებები და აქტივობები, რომლებიც ენის შესწავლას საინტერესოს და შედეგიანს გახდიდა. აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პირობებში, ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტებს კომპიუტერები დროებით სარგებლობაში გადასცა და მობილურზე 30 ლარის ჩარიცხვითაც უზრუნველყო, თუმცა, ამან პრობლემა არსებითად ვერ მოაგვარა.

გამოწვევას წარმოადგენს უმაღლესი განათლების საფეხურამდე გასავლელი ეტაპებიც. მაგალითად, სასკოლო სახელმძღვანელოები ნაწილობრივ ქართულად და ნაწილობრივ სომხურადაა შედგენილი და იმდენ ხარვეზს შეიცავს, რომ ზოგჯერ შინაარსი მოსწავლეებისთვის გაუგებარია. ეს უკანასკნელი ენობრივი ბარიერის დაძლევას მეტად ართულებს. თუმცა, ენის ბარიერი ახალციხეში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას ნაკლებ აქვს, ვიდრე ახალქალაქში მცხოვრებს. სახელმძღვანელოების ცვლილების საკითხზე მოსახლეობას ხელისუფლებასთან კომუნიკაცია უკვე ჰქონდა. გამოცხადდა ტენდერიც, რომლის ფარგლებშიც მათი სრული განახლება უნდა

მომხდარიყო; თუმცა, სომხურად რედაქტირების სპეციალისტი ვერ მოიძებნა და პრობლემა პრობლემადვე დარჩა. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ საქართველოს შესახებ ინფორმაცია თავად თუ არ მოიძიეს, სკოლაში მას ვერ იღებენ, რაც მათ სოციალურ ინტეგრაციას აფერხებს. ენის ბარიერი ხელს უშლის არა მხოლოდ სწავლას, არამედ ახალგაზრდულ (სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ) პროექტებში ჩართვას. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ, ვინც სასკოლო საგნებს სომხურ ენაზე ასწავლიან, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ქართულ ენაზე უწევთ, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ხოლო, ის მასწავლებლები, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში ახალგაზრდებისთვის ქართული ენის სასწავლებლად მიავლინეს, არავის მიერ მოწმდებიან და, შედეგად, არაკეთილსინდისიერი მუშაობა გავრცელებულ პრაქტიკად იქცა. სოციალური ინტეგრაციისთვის ბარიერს წარმოადგენს ისიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ახალციხეში, სომხურთან ერთად, როგორც ქართული, ისე რუსული სკოლები ფუნქციონირებს, ახალგაზრდების თქმით, არჩევანი სწორედ რუსულ სკოლაზე კეთდება და არა ქართულზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გოგონების მიერ განათლების მიღების საკითხს სამცხე-ჯავახეთის რიგ მაღალმთიან სოფლებში ეჭვით უყურებენ; ამასთან, გოგონებისთვის მეტ სირთულეს წარმოადგენს არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეებში შეღწევა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალგაზრდებს ევროპის ქვეყნებში გაცვლით პროგრამებს სთავაზობს, თუმცა, მოსახლეობა საკმაოდ სკეპტიკურადაა განწყობილი და გავრცელებული სტერეოტიპების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ევროპაში ახალგაზრდებს გარყვნიან. სკოლის მოსწავლეებისთვის გაცვლითი პროგრამების (როგორცაა, მაგალითად, FLEX) შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად ხელმისაწვდომი არ არის და, შესაბამისად, რეგიონიდან მონაწილეობის მაჩვენებელიც დაბალია.

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხებისთვის პრობლემას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის დეფიციტიც წარმოადგენს, რაც, მიმდინარე პერიოდში, მოსახლეობას ისეთი არსებითი ინფორმაციის გარეშე ტოვებს, როგორც, მაგალითად, ვაქცინაცია. ინფორმაციის დეფიციტი ხელს უწყობს იმასაც, რომ ევროკავშირის შესახებ მითები წარმატებით ვრცელდება. მაგალითად, ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ევროინტეგრაცია მათ კულტურას საფრთხეს შეუქმნის, უცხოურ ბაზარზე პროდუქტის რეალიზებას გაართულებს, ცხოვრების ტრადიციულ წესს შეცვლის, ჰომოსექსუალურ ქორწინებას დააკანონებს, ბავშვებს გადამეტებულ უფლებებს მიანიჭებს და ა.შ. ამ მითების დაძლევის საშუალებას სასწავლო მასალა არ იძლევა და ახალგაზრდების ინფორმირება ან არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით, ან ცალკეული პედაგოგის კეთილი ნებით ხდება. დეზინფორმაციის დასაძლევად, ინფორმაცია სომხურ ენაზე, ფაქტობრივად, არ ვრცელდება.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ ახალგაზრდებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან მეტი კომუნიკაცია და ამ უკანასკნელის მხრიდან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ. კერძოდ, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან ახალგაზრდების მიმართ მეტი ანგარიშვალდებულება, რაც ახალგაზრდების მეტად მოსმენითა და მათთან კოორდინირებული საქმიანობით უნდა გამოიხატოს;
- ✓ ახალგაზრდული საკითხების ეფექტიანად გადასაჭრელად, ადგილობრივი თვითმმართველობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინირებული საქმიანობა;

- ✓ ახალგაზრდული აქტივიზმის ხელშეწყობისთვის, შესაბამისი სივრცეების გამოყოფა (ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნის პოტენციალის გამოყენება და ამ მიზნით სივრცის გამოყოფა - ახალქალაქი);
- ✓ განათლების ექსპერტების ჩართულობით, სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხის გადახედვა და შედეგზე მყისიერად რეაგირება;
- ✓ სწავლების დისტანციური რეჟიმის პირობებში, რეგიონის მაღალმთიან ნაწილში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მეტი ყურადღების მიქცევა, რათა განათლების საბაზისო უფლების გარეშე დარჩენის რისკი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი;
- ✓ 4+1 პროგრამის პირობების გადახედვა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგება;
- ✓ ევროკავშირის შესახებ არსებული დეზინფორმაციის დასაძლევად, თანმიმდევრული საინფორმაციო კამპანიის განხორციელება;
- ✓ ევროკავშირის თემატიკის წინასაარჩევნო პროგრამებში თვალსაჩინოდ ინტეგრირება და ევროკავშირისგან მოსალოდნელი სარგებლის მკაფიოდ ხაზგასმა, კერძოდ, როგორ დაეხმარება ის სამცხე-ჯავახეთის ტურისტული პოტენციალის გამოყენებას; ასევე, ადგილობრივი პროდუქციის უკეთ რეალიზებას და ა.შ.;
- ✓ პანდემიის პირობებში, საჭირო ინფორმაციის გავრცელება ეთნიკური უმცირესობის ენაზე და მარტივი ფორმულირებით; ასევე, ვაქცინაციასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა. ამ მიზნით, ახალგაზრდული რესურსის მობილიზება ადგილობრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვნად დაეხმარება;
- ✓ ადგილობრივი მედიის წახალისება, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი, რათა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები აქტიურად და დამაჯერებლად/არგუმენტირებულად გაშუქდეს;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი (მათ შორის, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული) პროგრამებისა და კამპანიების დანერგვა, ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანება.

პანკისის ხეობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, თავიანთი ეთნიკური წარმომავლობის გამო, სოციალური ინტეგრაციის პროცესში არაერთ სირთულეს აწყდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ხეობაში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობა ახალგაზრდებისთვის პრობლემას უკვე ნაკლებად წარმოადგენს, გარკვეული ბარიერები მაინც არსებობს. თუმცა, ისეთი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა თუ პროგრამების მხარდაჭერით, როგორცაა დიდი ბრიტანეთის საელჩო, USAID, KRDF, CSS, „აწარმოე საქართველოში“ და ა.შ., ახალგაზრდები პრობლემების გადაჭრას თვითორგანიზებულად ცდილობენ. სწორედ ასე, 2020 წლის ბოლოს, შექმნეს ახალგაზრდული ცენტრი „ილუმინატორი“, რომელმაც ფუნქციონირება 2021 წლიდან დაიწყო და ამ დროის მანძილზე, დასუფთავების აქციის გამართვა, მცირე ზომის ბიბლიოთეკის შექმნა და რამდენიმე საგრანტო პროექტის შედგენა შეძლო. ახალგაზრდების თქმით, თვითორგანიზებული აქტივობების განხორციელება იმან განაპირობა, რომ არსებული პრობლემების ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გაზიარება, რიგ შემთხვევებში, უშედეგოდ სრულდებოდა. მსგავსი მოცემულობის გათვალისწინებით, პრიორიტეტი სოციალური ბიზნესის განვითარებას მიენიჭა და, საწყის ეტაპზე, ფესტივალის მოწყობა დაიგეგმა. თანხის ნახევრის მობილიზება მოხერხდა, თუმცა დანარჩენის შესაგროვებლად გამგეობამ ახალგაზრდებს ალტერნატივა ვერ შესთავაზა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ღონისძიებები არა მხოლოდ პანკისის ხეობის შესახებ ცნობადობის ამალგებას, არამედ ქართველ და ქისტ ახალგაზრდებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასაც ემსახურება.

უნდა ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით, ქართველი და ქიტი მოსახლეობის დაახლოების პროცესი დაწყებულია, თუმცა, ადრეულ ეტაპზე, ადგილობრივებისთვის ეს მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენდა. ახალგაზრდების თქმით, ერთობლივ პროექტებში მონაწილეობაზე ნებართვის მხრივ, ოჯახებიდან პრობლემა იქმნებოდა, რადგან ერთმანეთის მიმართ სტერეოტიპული ხედვა და უნდობლობა ახასიათებდათ. უფროს თაობასთან უწყვეტი კომუნიკაციის შედეგად, წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ახალგაზრდებს სჯერათ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან კოორდინირებული საქმიანობის შედეგად, დანარჩენი სირთულეებიც გადაილახება. ჯერჯერობით, მათი საჭიროებები უპასუხოდ, ხოლო პრობლემები - კვლავ გამოწვევად რჩება.

ამ ეტაპზე, პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდები, უმეტესად, განათლების მიღებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ქართული ენის ცოდნა პრობლემას არ წარმოადგენს, განათლებაზე ხელმისაწვდომობა მაინც ერთგვარი სირთულეა. მაგალითად, პანკისის ხეობაში არ არსებობს პროფესიული კოლეჯი (ასეთი მხოლოდ საკმაოდ მოშორებით, ალვანშია), მაშინ, როცა ცალკეული ხელობების სწავლა მათთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. არ არსებობს სივრცე არაფორმალური საგანმანათლებლო შეკრებებისთვისაც, სადაც ახალგაზრდები ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ. სოფლებში არის ძველი, უფუნქციოდ დარჩენილი შენობები, რომელთა განახლება და ამ დანიშნულებით გამოყენება, ახალგაზრდების აზრით, შესაძლებელია. განათლებასთან დაკავშირებული სირთულეები ზოგჯერ ისეთ ინფრასტრუქტურულ პრობლემამდე დაიყვანება, როგორც საბავშვო ბაღის შენობაში საპირფარეოს არარსებობა (აქვთ მხოლოდ გარეთ და ზამთარში ბავშვებს გარეთ გასვლა და ხელების ცივი წყლით დაბანა უწევთ). ინფრასტრუქტურულ პრობლემებს შორის სახელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის არაგეგმიური გადაადგილებაც, რაც სხვადასხვა პროექტში

მონაწილეობის მსურველ ახალგაზრდებს ახმეტისკენ გადაადგილებაში ხელს უშლის. ამკარაა, გაცვლითი პროგრამების შესახებ (მაგ.: ერაზმუს+) ინფორმაციის დეფიციტიც, რაც საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში პანკისის ხეობის ახალგაზრდების ჩართულობას აფერხებს. ამას ემატება მშობლების სტერეოტიპული ხედვებიც, რომლებიც ევროპასა და ამერიკაში ახალგაზრდების გაშვებას საფრთხის შემცველად (ფიზიკურად თუ მენტალურად) მიიჩნევენ.

ევროკავშირის შესახებ პანკისის ხეობაში არაერთი მითია გავრცელებული. მოსახლეობა შიშობს, რომ ევროინტეგრაციის კვალდაკვალ, ჰომოსექსუალური ქორწინებები დაკანონდება და ეროვნულ ღირებულებებსა და ტრადიციებს, მათ შორის, ქალის ტრადიციულ როლს საფრთხე შეექმნება. როდესაც პანკისში ქალთა საბჭოს შექმნის საკითხი დღის წესრიგში დადგა, ხეობაში მცხოვრები კაცები ნეგატიურად განეწყვნენ, რადგან მათ ეს ინიციატივა დასავლური ორგანიზაციების მიერ მატრიარქატის წახალისებად აღიქვეს. სწორედ მსგავსა მოვლენებმა განაპირობა ნეგატიური დამოკიდებულების გაღვივება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც არატრადიციული ღირებულებების გავრცელება მიეწერათ. ამ ფონზე, ისეთმა მნიშვნელოვანმა მოვლენებმაც კი, როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა იყო, მოსახლეობაში უარყოფითი განწყობები გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ხეობიდან მსურველები ევროპაში წავიდნენ, არგუმენტები მეტად გამყარდა და გაჩნდა მითი, რომ ამით პანკისისა და, ზოგადად, საქართველოს ქისტებისგან დაცლას ცდილობდნენ. ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც პანკისიდან ევროპაში წასულმა გოგონამ ჰიჯაბი მოიხსნა. ამ შემთხვევაში, მოსახლეობისთვის საბოლოოდ „ნათელი გახდა“, რომ ევროპა ახალგაზრდების გარყვნას ემსახურება. ევროკავშირის შესახებ მითების გავრცელებაზე საუბრისას, საგულისხმოა რუსეთის ფაქტორიც, რომლის ადგილობრივ საქმეებში ჩარევაც პანკისელი მოსახლეობისთვის აქტუალურია. მაგალითად, ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, ადგილობრივებსა და ძალოვან სტრუქტურებს შორის დაპირისპირებებისას, გავრცელდა დეზინფორმაცია, რომ რუსეთი მზად იყო, ხეობაში შესულიყო და ქისტებისთვის მხარი დაეჭირა. მსგავსი დეზინფორმაციის მსხვერპლი ზოგჯერ ადგილობრივი თვითმმართველობაც ხდება, რომელიც ქისტი მოსახლეობის მიმართ უნდობლობას ავლენს, რადგან მიიჩნევენ, რომ პანკისის ხეობაში, მოსახლეობის მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვა რუსეთის წაქეზებით და დაფინანსებით ხდება. ცხადია, ამგვარ განწყობას მოსახლეობაც გრძნობს და თუნდაც ბოლო მოვლენების გათვალისწინებით (როცა ჰესის მშენებლობა მოსახლეობის გაუფრთხილებლად გადაწყვიტეს), როგორც საკუთარი სოციალური ინტეგრაციის პროცესში, ისე სახელმწიფოს მხრიდან ქისტი თემის მიმართ დამოკიდებულებაში საფრთხეებს ხედავს.

საპასუხოდ, ქისტებიც უნდობლობას გამოხატავენ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ. აღსანიშნავია, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რომ თემში სასმელი წყლის პრობლემა დგას და ამას ადგილობრივი ხელისუფლება ვერ აგვარებს. გარდა ამისა, არსებობს სხვა სოციალური პრობლემებიც, მოსახლეობა კი მათ გადაჭრას ისევ თვითორგანიზებული აქტივობებით ცდილობს. მაგალითად, სოციალური ქსელის მეშვეობით აგროვებენ ნივთებსა და პროდუქტებს, რასაც გაჭირვებულ ოჯახებს გადასცემენ. ამასთან, სასულიერო იერარქიის წარმომადგენლები ნაადრევი ქორწინების შემთხვევების თავიდან აცილებას ცდილობენ და არასრულწლოვანთა ქორწინებას არ აღიარებენ, რაც მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია. მიუხედავად ამგვარი თვითორგანიზებისა, რიგი პრობლემების გადაჭრაში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის საჭიროება თვალსაჩინოა. არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად, მნიშვნელოვანია:

- ✓ არაფორმალური განათლების ხელშეწყობა - როგორც მოსახლეობისთვის შესაბამისი სივრცის გამოყოფით, ასევე ამ მიმართულებით კონკრეტული პრაქტიკების დანერგვით;
- ✓ პროფესიული განათლების ხელშეწყობა შესაბამისი სასწავლებლის გახსნით;
- ✓ ახალგაზრდებისთვის სათემო გაერთიანების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული;
- ✓ ახალგაზრდების მხარდაჭერა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში; ასევე, ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობა და სხვა რეგიონების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან მათი დაკავშირება;
- ✓ ევროკავშირის „პოზიტიური პროპაგანდა“ არაპირდაპირი გზით, კერძოდ, იმ სარგებლის ჩვენებით, რასაც ევროინტეგრაცია მოსახლეობისთვის მოიტანს. ეს უკანასკნელი კონკრეტულ მაგალითებს უნდა ეფუძნებოდეს (ვთქვათ, რა ფასად გაიყიდება ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქცია) და რუსულ ბაზართან კონტრასტის პრინციპზე უნდა იყოს აგებული;
- ✓ მედიაწიგნიერების ტრენინგ-კურსების ჩატარება როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის, დეზინფორმაციის (განსაკუთრებით, ევროკავშირთან და პანდემიასთან დაკავშირებული) ამოსაცნობად;
- ✓ მედიის როლის გაზრდა ადგილობრივ რეალობაში, რადგან დეზინფორმაციასთან საბრძოლველად მხოლოდ ერთი ადგილობრივი მედიასაშუალება არასაკმარისია;
- ✓ მოხალისეების ან/და სხვა რესურსების მობილიზება დეზინფორმაციასთან საბრძოლველად, კერძოდ, ახალი ამბების გადამოწმების მიზნით, რათა ჩეჩნურიდან ქართულად ინფორმაცია დამახინჯებულად არ ითარგმნოს;
- ✓ მოსახლეობასთან კონსტრუქციული ურთიერთობა, განსაკუთრებით, მათი ხედვის გათვალისწინებისა და კომუნიკაციის პროცესში ახალგაზრდული რესურსის გამოყენების საფუძველზე;
- ✓ სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის საქართველოს რეგიონებისა და ევროკავშირის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა;
- ✓ მოსახლეობისთვის შესაძლებლობის მიცემა, თავად განსაზღვროს საკუთარი საჭიროებები და ადგილობრივი თვითმმართველობისგან სოციალური პრობლემების გადასაჭრელად დაფინანსება მოიპოვოს;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი (მათ შორის, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული) პროგრამებისა და კამპანიების დანერგვა, ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ საკითხის ირგვლივ გაერთიანება.

**პროექტი განხორციელდა ევროკავშირის ერაზმუს+ ჟან მონე აქტივობების
პროგრამის თანადაფინანსებით, პროექტის კოდი:**

611936-EPP-1-2019-GE-EPPJMO-PROJECT

www.jeanmonnet.css.ge